ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1968 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲚᲘ • № 185 (14181) • ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲝᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲧᲝᲛᲝᲢᲘᲕᲝ ᲓᲔᲞᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲣᲐᲢᲐᲙᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ: წლის დასაწყისიდან გადაყვანილია 1.000-ზე მეტი მძიმეწონიანი მატარებელი და გადაზიდულია 250 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი.

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲔᲛᲐ Ა. ᲨᲐᲕᲘᲫᲔᲛ, Ш. ᲙᲝᲜᲪᲠᲘᲫᲔᲛ, Ო. ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ, Დ. ᲘᲚᲝᲠᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲜᲔᲜ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲗ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ.

ᲙᲣᲗᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ — ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გადაჭარბებით შეასრულეს სიხალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი, ითვისეს ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება, გააუმჯობესეს ნაწარმის ხარისხი და გაფორმება. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გეგმა.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულია მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით გეგეჭკორის რაიონის დიდი ბუყონის № 1 ჩაის ფაბრიკის კოლექტივი. მას მიენიჭა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ თბილისის მარმელადის ფაბრიკის, სამტრესტის საწარმოო კომბინატის, № 5 პურის ქარხნის, ბორჯომის მინის ქარხნის, გურიანთის ჩაის ფაბრიკისა და რუსთაველის პურეულმბინატის კოლექტივები.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის № 6 პურის ქარხნის, ქუთაისის ღვინის ქარხნის, თბილისის ლიქიორის ქარხნის, ბინთაადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, ნატანების ჩაის ფაბრიკის, თბილისის № 3 პურის ქარხნისა და თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირწყლების ქარხნის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მოიპოვეს სამტრესტის ამბროლაურის ქარხანამ, სამმართველოს, სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის, სალიბაურის ჩაის ფაბრიკის, სამტრესტის მოსკოვის ღვინის ქარხნისა და თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხნის კოლექტივებმა. (საქდესი).

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲔᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

რა სპეციალობის ადამიანებს არ შეხვდებით ენგურჰესზე — ამ ჟეშმარიტად საერთო-სახალხო მშენებლობის ობიექტზე. ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მუშები და სპეციალისტები ერთიანი ძალით აკეთებენ საშვილიშვილო საქმეს.

ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘ შემოსეს თავიანთი შრომა აკაურმა გვირაბგამყვანებმა, რომლებმაც რამდენჯერმე დაამყარეს საკავშირო რეკორდი. ბ. ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲘᲡ რეკორდსმენთა ბრიგადის მაგალითის მიხედვით ახლა ბევრი გვირაბგამყვანი შრომობს. მათ შორის არიან ᲗᲚᲔᲚᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ასახული გვირაბგამყვანები და კლდეზე მცოცავები (მარცხნიდან): რ. ᲒᲕᲘᲨᲘᲐᲜᲘ, Ი. ᲕᲐᲠᲗᲐᲞᲔᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ, Ი. ᲐᲡᲚᲐᲛᲐᲖᲝᲕᲘ, ბ. ᲯᲕᲘᲠᲐᲜᲝᲕᲘ და Ი. ᲙᲣᲒᲐᲨᲘᲜᲯᲕᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ მარცხნივ ქვემოთ ვხედავთ Ა. ᲨᲘᲨᲘᲐᲡ. ისიც მოწინავე გვირაბგამყვანია.

ᲑᲝᲚᲝᲠ რამ აინტერესებთ ენგურის ხეობაში „საქჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის სეისმოლოგ მკვლევარებს (სურათზე, — მარჯვნივ ზემოთ).

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — მოს

ენგურჰესი — ჩვენი ეროვნული სიამაყე

ჰიდროენერგეტიკის გიგანტი



გ. ჩოგოვაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საქართველოს ჰიდროენერგეტიკის გიგანტი მდინარე ენგურზე, რომლის მშენებლობაც ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თავისი ტექნიკური ჩანაფიქრით და გრანდიოზულობით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს სიამაყეა. გაივლის რამდენიმე წელი, და ენგურჰესის აგრეგატები ელექტროენერგიას მიაწვდიან როგორც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, ქარხნებს, შახტებსა და ელექტროფიცირებულ რკინიგზებს, იხე მეზობელი მოძმე რესპუბლიკების მზარდ ინდუსტრიას. რამდენადაც ენგურჰესის დანიშნულებაა დაფაროს ენერგიის მზარდი დეფიციტი, იგი იმუშავებს კავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ენგურჰესის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი მის დიდ როლს საერთოსაკავშირო ენერგეტიკულ ბალანსში.

საქართველოს სახელოვანმა მუშათა კლასმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში არა ერთი და ორი ელექტროსადგური ააგეს. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ელექტროფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის პირმშოს — ზაჰესის ამუშავება 1927 წლის 26 ივნისს. იგი მწყობრში ჩადგა ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებიდან ზუსტად ნახევარი წლის შემდეგ. მისი მშენებლობა გათვალისწინებული იყო გოელროს ლენინური გეგმით და იმ დროისათვის ერთ-ერთ ძლავრ ელექტროსადგურად ითვლებოდა. მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგურის — რიონჰესის ამოქმედებამ 1933 წლის 30 სექტემბერს დასაბამი მისცა საქართველოს ენერგოსისტემის განვითარებას.

რიონჰესს მოჰყვა აწჰესი, ტყვარჩელისა და თბილისის თბოელექტროცენტრალები, რის შემდეგაც მკვეთრად იმატა რესპუბლიკის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ და ელექტროენერგიის გამომუშავებამ. დიდმა სამამულო ომმა რადიკალურად შეაფერხა საქართველოს ენერგეტიკის ზრდა, მაგრამ ომის შემდეგ კვლავ ფართოდ გაიშალა ელექტროსადგურების, განსაკუთრებით კი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამუშავდა ხრამჰესი-I (წყლის ნაკადის წლიური რეგულირებით), აგრეთვე სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, სამგორის კასკადი, ორთაჭალჰესი, შაორჰესი, ტყიბულჰესი, გუმათის ჰესები, ლაჯანურჰესი, ხრამჰესი-II და სხვა ჰიდროელექტროსადგურები, თბოელექტროცენტრალები რუსთავში, ჭყთაისსა და გარდაბანში. და აი, უკვე 1966 წლისათვის რესპუბლიკის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1,6 მილიონ კილოვატს მიაღწია, ეს კი 200-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრეს და თითქმის 60-ჯერ აჭარბებდა 1928 წლის დონეს.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის მშენებლებს დიდი საქმე აქვთ გაკეთებული, აგებულია მრავალი, სულ სხვადასხვა პროფილისა და სიმძლავრის ელექტროსადგურები და მაინც მათი სამუშაოთა მასშტაბები ძლიერ მცირედ გამოიყურება ენგურჰესთან შედარებით.

მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს.

ენგურჰესის სიმძლავრე მილიონ 640 ათას კილოვატს, და ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 5,5 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწევს, საკრთველოში დღეისათვის არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე კი 750 ათას კილოვატს, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 3 მილიარდ კილოვატ-საათს არ აღემატება. საგულისხმოა ისიც, რომ თუ დღემდე არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე, როგორც აღინიშნა, გაცილებით ნაკლებია ენგურჰესის სიმძლავრეზე, 40 წლის განმავლობაში ვაშენებდით, ენგურჰესი რამდენიმე წელიწადში უნდა ჩავაყენოთ მწყობრში.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გრანდიოზულობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მისი მშენებლობის მასშტაბებს შეადარებთ უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობის — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის და მეტად რთული პროფილის ბაღალი დაწნევის ხრამჰესი I-ის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

ახე მაგალითად, ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე სულ შესრულდა 12,8 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, ხრამჰესი I-ზე — 0,9 მილიონი კუბური მეტრი, ენგურჰესზე კი — 14,0 მილიონი. ასეთივე დიდი სხვაობაა კლდის სამუშაოთა შესრულების მაჩვენებლებში. თუ ბრატსკზე ეს ციფრი 1,8 მილიონ კუბურ მეტრს უდრიდა, ხრამჰესზე — 1,5 მილიონს, ენგურჰესზე იგი 22,0 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს: თუ ხრამჰესზე მიწისქვეშა გამონამუშევრებმა 0,19 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, ენგურზე ეს ციფრი 3,0 მილიონს გაუტოლდება. ბრატსკის ჰესის მშენებლობას 37,0 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები მოჰმართა. ხრამჰესს — 14,0, ენგურჰესს — 140,0 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები დასჭირდება!

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენგურჰესის მსგავსი ნაგებობა მსოფლიო ჰიდროტექნიკის პრაქტიკაშიც კი იშვიათად მოიპოვება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 271 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხალი, რომლის აგება მეტად რთულ გეოლოგიურ პირობებში განხორციელდება; უნიკალურია აგრეთვე 15 კილომეტრი საერთო სიგრძისა და 9,5 დიამეტრის სადაწნეო დერივაციული გვირაბი.

ესოდენ დიდი ამოცანა რესპუბლიკის მშენებელთა წინაშე არასოდეს არა მდგარა და მათ სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყურადღებას არ აკლებენ ენგურჰესის მშენებლობას, სისტემატურად განიხილავენ მშენებლობის დაჩქარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეხმარებიან მშენებლებს ადგილზე წარმოქმნილი სიძნელეთა დაძლევაში, ყოველდღიურად აუმჯობესებენ მათს საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებას. ამ შეუნელებელი ზრუნვის

ᲠᲒᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲔᲜᲝᲗ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲝᲗ!

მობს. მათ შორის ნახევარზე მეტი კომკავშირული საგზურით ჩამოვიდა ენგურზე. ახალგაზრდები არავითარ სიძნელეებს არ უშინდებიან: წარმატებით ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობას, არ იშურებენ ცოდნას, ენერგიას და ზედამ მზად არიან შრომისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ. მათ შეხვდებით გვირაბებში, ავტომანქანებზე, მექანიზმებთან, გზების მშენებლობაზე, სამონტაჟო სამუშაოებზე, ყველა პასუხსაგებ უბანზე, სადაც კი ენგურჰესის მშენებლობის ბედი წყდება.

მშენებლობაზე ბევრმა ახალგაზრდამ ისახელა თავი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ხაშურელი ემილო ნოზაძე, ცაგერელი ომარ ბობოხიძე, დუშელი ილია ნარიმანიძე, ვანელი გიგლა ხუციძე, წალენჯიხელები აკაკი საჯაია და ვალერი ქარდავა...

ამბროლაურელი ჭაბუკი ხარდიონ მამუჩარაშვილი კომკავშირული საგზურით მოვიდა მშენებლობაზე. მას პირველ ხანებში სპეციალობა არა ჰქონდა, მაგრამ მოკლე დროში დაეუფლა გვირაბგამყვანის მეტად რთულ პროფესიას და დღეს წარმატებით უძღვება კომკავშირულ ბრიგადას, რომელიც გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ცხაკაიელმა ვაჟა შალამბერიძემ ბრატსკიდან მოაშურა ენგურჰესს და თან მდიდარი გამოცდილება ჩამოიტანა. ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე დანერგილ შრომის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს იგი ხალისით უზიარებს თანამოსაქმეებს.

დღეს ან უკვე ყველა იცნობს რეკორდსმენ ძმებს გიგი, შოთა და ალიოშა ნადირაძეებს. ძმების კომპლექსურმა ბრიგადამ ახალი სიტყვა თქვა გვირაბმშენებლობის ისტორიაში. მიმდინარე წლის მარტში მათ ხაკავშირო რეკორდი დაამყარეს: ერთ თვეში დიდი კვეთით გაიყვანეს 115 მეტრი გვირაბი. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ბრიგადამ, რომელსაც ამჟამად გიგი ნადირაძე და იოსებ გელაშვილი მეთაურობენ, ივლისში კიდევ 131 მეტრით წაიწია წინ და კვლავ დაიბრუნა ხაკავშირო რეკორდსმენის მაღალი წოდება, რომელიც ერთხანს მათ ნურეკელებმა ჰამოართვეს. ეს დიდი მიღწევა ახალგაზრდა გვირაბგამყვანებმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მსგავსი მაგალითი, რაც ცხადად შეტყველებს, რომ ენგურჰესზე მომუშავე ადამიანების კარგად აქვთ შეგნებული საშობლოს მიერ დაკისრებული დიდი მოვალეობა.

რამდენიმე სიტყვა ახალგაზრდა სპეციალისტებზე. გამოცდილ ინჟინერ-ტექნიკოსთა ხელმძღვანელობითა და დახმარებით ისინი წარმატებით ართმევენ თავს პასუხსაგებ დავალებებს, უნარიანად წარმართავენ ცალეულ ნაგებობებს. ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. წყალტუბოელი გიორგი შეენიერიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მოვიდა და დღეს მოწინავე მექანიკოსია. გვირაბგამყვანთა რთულ უბანს ხელმძღვანელობს თამაზ ნადირაძე, რომელმაც ორი წლის წინათ დაამთავრა იგივე ინსტიტუტი. მშენებელი ინჟინრის დიპლომით მოაშურეს ენგურჰესს ახალგაზრდა სპეციალისტებმა ომარ ბურცილავამ, ნაირა ჯორქიამ, როლანდ ადეიშვილმა, ამირან ჭიკინაძემ, ჯემალ ჯიქიძემ და სხვებმა, რომლებმაც აქ პროფესიული ოსტატობა და

პ. ა. როდიონოვი

კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ კოლექტიურობის პრინციპის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პრობლემა, რასაც ეხება ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ა. **როდიონოვის** დასახელებული წიგნი, დიდი თეორიულ-შემეცნებითი და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაა. და მიუხედავად ამისა, ჩვენ დღემდე არ გვქონდა არც რუსულ და არც ქართულ ენაზე საფუძვლიანი მონოგრაფიული ნაშრომი ლენინური საკითხის.

მართალია, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის შესახებ რუსულ ენაზე არის რამდენიმე ბროშურა, მაგრამ ზოგ მათგანში, როგორც ნათქვამია სარეცენზო წიგნში, ლაპარაკია ან კომუნისტური პარტიის ისტორიის ცალკეულ პერიოდებზე ან აღნიშნული საკითხის ცალკეულ მხარეებზე, გარდა ამისა, ისინი გამოსულია რამდენიმე წლის წინათ და ვერ ასახავენ და არც შეუძლიათ ასახონ ის დიდი ცვლილებანი, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, კერძოდ, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განხორციელებაში.

სარეცენზიო წიგნის ავტორს მიზნად დაუსახავს ერთგვარად შეეკრა ეს ხარვეზი, ეჩვენებინა კოლექტიურობის პრინციპის მოქმედება სკკპ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ცხადეყო ხელმძღვანელობის ლენინური სტილი როგორც პარტიის, ხალხის მასების კოლექტიური გამოცდილებისა და აზრის ხორცშესხმა. ჩვენ თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ავტორმა ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა.

მან დიდძალი და მრავალმხრივი ფაქტიური მასალის გამოყენებით და მათი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოგვცა მეტად საინტერესო და სასარგებლო მონოგრაფიული ნაშრომი, **რომელშიც** მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სწორად, უხარიანად მიმართვებით ვრცლად, ყოველმხრივ და სრულყოფილად გაშუქებულია ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის უდიდესი როლი ჩვენი პარტიის ტიტანურ მოღვაწეობაში, სრულად და მკაფიოდ ნაჩვენებია პარტიის მუშაობა ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის განვითარებისა და დაცვისათვის.

თავისი ნაშრომის პირველ თავში „კოლექტიურობის პრინციპი და მისი ადგილი პარტიის შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში" ავტორი განიხილავს აღნიშნული პრინციპის თეორიულ საფუძველს, დამაჯერებლად გვიჩვენებს მის ობიექტურ აუცილებლობას კომუნისტური პარტიებისათვის. იგი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ კოლექტიურობის პრინციპის განსაზღვრავს კომუნისტური პარტიის თვით არსი და ისტორიული **დანიშნულება**, მისი ბუნება და ხასიათი, ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ისტორიას ქმნიან ხალხის მასები და ამ მასებთან კავშირი კომუნისტური პარტიების ძალისა და ძლიერების წყაროა.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის ავანგარდია, რომელიც ამ კლასის ყველა მოწინავეს, საუკეთესო წარმომადგენელს შეიცავს. იგი წარმოუდგენელია კოლექტიურობის გარეშე. მას ახასიათებს მუშათა კლასის ყველა ძვირფასი თვისება, მათ შორის სოლიდარული მოქმედების გრძნობა, კოლექტიურობა, რაც უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს პროლეტარიატისა და მისი პარტიის წარმატებებს მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლაში.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს კოლექტიურობის პრინციპი და ამავე დროს გვიჩვენეს მისი პრაქტიკული გამოყენების შესანიშნავი ნიმუშები. მთელი მათი მოღვაწეობა მათ მიერ შექმნილ „კომუნისტთა კავშირსა" და I ინტერნაციონალში ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ბრწყინვალე განსახიერება იყო.

ავტორმა თავის ნაშრომში ღრმად და საფუძვლიანად გააშუქა საკითხი, თუ როგორ განავითარა ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი პროლეტარიატის პარტიის შესახებ, კერძოდ — მათი იდეები ხელმძღვანელობის კოლექტიურობის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ერთიანი, მწყობრი მოძღვრება პროლეტარული პარტიის შესახებ და კიდევაც შექმნა ასეთი პარტია — ბოლშევიკური პარტია, რომლის წარმოშობა XX საუკუნის ერთ-ერთი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ლენინმა დაამუშავა პროლეტარული პარტიის იდეოლოგიური, ტაქტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები, პარტიული ცხოვრებისა და ხელმძღვანელობის ნორმები და პრინციპები, რომელთა სისწორე, ძალა და სიმყარე, ნათლად დაადასტურა როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ისე სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეობამ. ამ პრინციპებიდან მთავარია ხელმძღვანელობის კოლექტიურობა.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ პარტიას არ შეუძლია აწარმოოს პოლიტიკური ბრძოლა, დარაზმოს რევოლუციური ძალები, „თუ კოლექტიურად არ იქნება შემუშავებული საქმის ბოლოლის გარკვეული ფორმები და წესები".

წიგნში დამაჯერებლად არის გაბსნილი ის ჭეშმარიტება, რომ პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობას საფუძვლად უდევს პარტიის ორგანიზაციული წყობისა და შინაგანი ცხოვრების მთავარი პრინციპი — დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც, „როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, გულისხმობს ცენტრალიზმისა და შინაპარტიული დემოკრატიის დიალექტიკურ ერთიანობას.

წიგნის მეორე თავში **„ლენინური სტილი მუშაობასა და ხელმძღვანელობაში ნამდვილი კოლექტიურობის განსახიერებაა"**. ვრცლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად გაშუქებულია ის ტიტანური ბრძოლა, რომელიც გაწია კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით იმ დიდი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დადგა ჩვენი ქვეყნის წინაშე სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ. მშვიდობიან შემოქმედებათა შრომაზე გადასვლისას. ეს იყო მკვეთრი მოსახვევი, როგორც ნათქვამია სარეცენზიო ნაშრომში, საბჭოთა საზოგადოების განვითარების გზაზე. იგი ხასიათდებოდა დიდი სიძნელეებითა და წინააღმდეგობებით, რომლებიც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობით. მაგრამ პარტია მედგრად სძლევდა მათ და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

სარეცენზიო ნაშრომის განსაკუთრებით დიდი ღირსება ის არის, რომ მასში ღრმად, შთამბეჭდავად ნაჩვენებია ის ყოვლდღიური, დაუოლავი ზრუნვა, რასაც იჩენდა „კომუნისტური პარტიის შემქმნელი და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი შინაპარტიული ცხოვრების ნორმებისა და პრინციპების, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელად დაცვისა და განვითარებისათვის, რაც პარტიის საქმის წარმატებათა მტკიცე გარანტია იყო და არის. ავტორის მიერ მოყვანილი მასალები არა მარტო დიდი ინტერესით იკითხება, არამედ გასწავლის, თუ როგორ უნდა ეუფლებოდე მუშაობის ლენინურ სტილს, როგორ უნდა ახორციელებდე ხელმძღვანელობის „კოლექტიურობის პრინციპს, გასწავლის და ძალებს გმატებს პარტიის საქმისათვის, მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის საბრძოლველად.

წიგნის მესამე თავში — **„სკკპ ხელმძღვანელი როლის ამაღლება კომუნისტურ მშენებლობაში და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის გაძლიერება"** ლაპარაკია პარტიის მიერ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის და მისი სათუძველების შემდგომ გაფართოებასა და განვითარებაზე კომუნისტური საზოგადოების. მშენებლობის პერიოდში.

პარტიის ახალ პროგრამაში მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა. პარტიის როლის ამაღლება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ამ საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე განაპირობებს კოლექტიურობის საფუძვლების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების აუცილებლობას. და აი მესამე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ ახორციელებს პარტია ამ ამოცანას.

ავტორმა საგანგებო სწორად გააშუქა ის განუზომლად დიდი როლი, რომელიც შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპის დაცვისა და განვითარების საქმეში. ამ პლენუმის შემდეგ, რომელმაც ბოლო მოუღო სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს პოლიტიკასა და მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, პარტიის ყველა რგოლში სულ უფრო შესამჩნევად იკრძნობა მუშაობის ლენინური სტილი. კოლექტივიზმის, საქმიანობის, ორგანიზებულობის ატმოსფერო.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახლა მთელი თავიანთი ძალ-ღონის, ცოდნისა და ღონისძიებების განხორციელებას ფიქრობენ ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკური ბალანსის, ეროვნული ეკონომიკური ბალანსის, ეროვნული ეკონომიკური ბალანს

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეკეშათა საკგენტოები ეჯახებიან ბიულეტენებს

დიდი ღვლილი მშვიდობის საქმეში

საქართველოს მშრომელები იწონებენ ბრატისლავის თათბირის შედეგებს

ჩეხოსლოვაკია

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადება კვლავ მუთაისის საკომბინატ ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის აუოდლების ცენტრშია. ისინი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ტისს ჩიერნის ორმხრივი შეხვედრის და ექვსი მოძმე პარტიის წარმომადგენელთა თათბირის შედეგებს.

— მოძმე პარტიების შეხვედრის მონაწილეთა განცხადებაში, — თქვა №3 სამსხმელო საამქროს ოსტატმა ფ. ხხილაძემ, — დასახულია სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ფართო მასების შემდგომი შეკავშირების გზები სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის პოზიციებიან განმტკიცებისათვის. ბრატისლავის შეხვედრის მონაწილეთა განცხადებაში ჩამოყალიბებული პოზიციები გამოხატავენ სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა ძირეულ მისწრაფებებს, შეეხამებიან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ამავე საამქროს პარტკომორგანიზაციის გ. ბახუტაშვილმა განაცხადა:— საბჭოთა კომუნისტები და მთელი ჩვენი ხალხი მიესალმებიან ამ შეხვედრების შედეგებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა კოლექტიურად შემუშავებულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს სოციალიზმის საერთაშორისო ავტორიტეტისა და მისი გავლენის ზრდას.

რუსეთი

ქალაქის ყველა საწარმოში, სამშენებლო, სამონტაჟო სამმართველოებში, დაწესებულებებში მშრომელები იხილავენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებას.

მეტალურგიული ქარხნის მილმგლინავმა პ. ბენდიანიშვილმა თქვა:

— კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბრატისლავის თათბირი და თათბირზე მიღებული განცხადება ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების გზაზე, მნიშვნელოვანი წვლილია სოციალიზმის განმტკიცებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი საქმიანობისა და აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მის სიტყვებს მხარი დაუჭირა აგლომრჩმედის საამქროს ოსტატმა კ. პარასტაშვილმა.

— ექვნი მოძმე პარტიის განცხადება გამოხატავს მისწრაფებას განამტკიცონ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისა და ხალხების ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბაზაზე. ეს განცხადება ხაკადრის პასუხს სცემს სოციალიზმის მტრებს, ანტისაბჭოთა კამპანიების ორგანიზატორებს. იგი მოგვიწოდებს გავაძლიეროთ სიფხიზლე, განვამტკიცოთ ერთობა და გავაძლიეროთ ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალების დასამკვიდრებლად.

(საქდესი).

დიდი ინტერესი

ლონდონი, 8 აგვისტო. (საქდესი). მეორე საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენამ, რომელიც ლონდონში გაიხსნა, ლონდონის გაზეთების უმრავლესობის ყურადღება მიიპყრო. გაზეთები ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ვაჭრობის შემდგომ განვითარებას.

გამოფენის გახსნის შესახებ რეპორტაჟში „ტაიმსი“ ხაზს უსვამს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევისა და ინგლისის ვაჭრობის მინისტრის ა. კროსლენდის სიტყვების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ არის ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარების კარგი პერსპექტივები.

„დეილი ტელეგრაფი“ და „მორნინგ სტარი“ განსაკუთრებით აღნიშნავენ, კომსომოლური ტექნიკის პავილიონს, სადაც სხვა ექსპონატებს შორის წარმოდგენილია კომსომოლური ხომალდი „ვოსტოკ-1“, რომლითაც იური გაგარინმა განახორციელა ისტორიაში პირველი ორბიტული ფრენა.

შეწყდეს აგრესია!

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ე. ბასსაკოვი იტყობინება:

ვესამე დღეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განიხილავს საშიშ სიტუაციას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა იორდანიის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის ახალ აქტებთან დაკავშირებით. საბჭოს გუშინდელ სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ იორდანიის, ისრაელის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ერაყისა და საუდის არაბეთის წარმომადგენლები.

იორდანიის წინააღმდეგ ისრაელის ახალი აგრესიის ფაქტი დამტკიცებულია უცილობლად და ტელ-ავივის ოფიციალურმა პირებმაც კი აღიარეს, — ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში იორდანიის წარმომადგენელმა ელ-ფარამ. ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გამწვავების მთავარი მიზეზია, აღნიშნა იორდანიის წარმომადგენელმა, ის, რომ გრძელდება შარშან ივნისის აგრესიის დროს ისრაელის მიერ მიტაცებული არაბული ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია.

ელ-ფარამ თქვა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ისრაელმა საოკუპაციო ძალები გაიყვანონ არაბული ტერიტორიებიდან.

ისრაელის წარმომადგენელი ტქაა კვლავ ცდილობდა არაბული სახელმწიფოებისათვის დაებრალებინა ისრაელ-იორდანიის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე დაძაბულობის გამწვავება. ისრაელი ოკუპანტებისადმი არაბი მოსახლეობის შეიარაღებული წინააღმდეგობა ტეკოამ დაახასიათა როგორც „აგრესია ისრაელის წინააღმდეგ“.

სირიის წარმომადგენელმა ტომემ აღნიშნა, რომ იორდანიის წინააღმდეგ ისრაელს შეიარაღებული პროვოკაციები ისრაელის მხედრიონის აგრესიული აქტების სერიათა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. მან მოუწოდა უშიშროების საბჭოს განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი არაბთა სახელმწიფოებზე ისრაელის შეიარაღებული თავდასხმის აქტების თავიდან აცილებისათვის.

დანიის წარმომადგენელმა ს. მელბინმა „სინანული და შეშფოთება“ გამოთქვა 4 აგვისტოს ისრაელის აეროპლანის მიერ იორდანიის ტერიტორიის ბომბარდირებულ დაბომბვის გამო. მაგრამ იგი შეშფოთებულა მხოლოდ იმით, რომ მოუწოდა „კონფლიქტში მონაწილე მხარეებს თავი შეიკავონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევისაგან“.

ისრაელის აგრესიის აქტებს შეიძლება უარესად სერიოზული შედეგები მოჰყვეს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის, — აღნიშნა ერაყის წარმომადგენელმა ბაჩაჩიმ. მან მოიხსენიეა, რომ განახორციელონ გადაწყვეტი ღონისძიებანი ისრაელის მხედრიონის დანაშაულებრივი მოქმედების შესაწყვეტად.

უნგრეთის წარმომადგენელმა ტარდოსმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება აგრესია ეუწოდოთ არაბი მოსახლეობის კანონიერ წინააღმდეგობას დამპყრობლებისა და ოკუპანტებისადმი, როგორც ეს ისრაელის წარმომადგენელს სურს. აგრესორია ის, ვინც სხვისი მიწა-წყალი მიიტაცა და უარს ამბობს წავიდეს იქიდან, ხაზი გაუსვა უნგრეთის წარმომადგენელმა.

სენეგალის წარმომადგენელმა ბოიამ დაგმო აგრესიის აქტები იორდანიის წინააღმდეგ, რომლებსაც ისრაელი ახორციელებს იმ იმედით, რომ ჩაფუშავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგება.

უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა 9 აგვისტოს გაიმართება.

ეთიოპიაში მოლაპარაკება

ადის-აბება, 7 აგვისტო. (საკდესი). აქ მიმდინარეობს ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის და აღმოსავლეთ ნიგერიის რეგიონის წარმომადგენლობა მოლაპარაკება. ფედერალური მთავრობის დელეგაციამ კვლავ დაადასტურა, რომ ნიგერიის კონფლიქტის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ აღმოსავლეთ ნიგერიის ლიდერები უარს იტყვიან ფედერაციისაგან გამოყოფაზე.

ეს უარი, ნათქვამია დელეგაციის განცხადებაში, უნდა გამოითქვას ერთობლივი განცხადების ფორმით, რომლის დებულები უნდა შეთანხმდეს ორივე მხარეს შორის.

აშშ

რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი

მაიამი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს რიჩარდ ნიქსონი დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიისაგან მიმდინარე წლის არჩევნებში.

ნიქსონმა გაიმარჯვა კენჭისყრის პირველ ტურში. მან მოაგროვა 692 ხმა, როკფელერმა — 287 და რეიგანმა — 182 ხმა.

პოლიციელ მუარველიგს რასისტებს

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საკდესი). ლოს-ანჯელესში მოხდა ამერიკელ რასისტთა უკანონო თვითნებობის კიდევ ერთი შემთხვევა.

ლოს-ანჯელესის ზანგთა რაიონის ოუტსის მცხოვრებლები გუშინ შეიკრიბნენ საქალაქო პარკში მუსიკალურ ფესტივალზე, რომელიც ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლების — მარტინ ლუთერ კინგისა და ედგარ იკერსის ხსოვნას მიეძღვნა.

მუსიკალური წარმოდგენის დროს გაისმა სროლა. თერმე ულროლით იქვე მიმავალი ავტომობილის ფანჯრიდან რასისტებს. ამის შედეგად დაიჭრა ექვსი ზანგი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამნაშავეებმა, როგორც ყოველთვის, მოახერხეს მიმალვა, შემთხვევის ადგილას მოვიდა პოლიციელი. შეიარაღებული ბანდიტების დევნის ნაცვლად, „წესრიგის დამცველმა“ ფესტივალის მონაწილეთა გარეკვა დაიწყეს.

უოლესს პრეზიდენტობა სურს

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკდესი). „ამერიკის დამოუკიდებელი პარტია“, რომელსაც მეთაურობს ალაბამის შტატის ყოფილი გუბერნატორი, ცნობილი რასისტი ჯორჯ უოლესი, აკანონებს თავის საქმიანობას. უოლესის მომხრეებმა ვაშინგტონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გახსნეს თავიანთი შტაბ-ბინა. „დამოუკიდებლებს“ განზრახული აქვთ აგვისტოს შუა რიცხვებისათვის მოაგროვონ 8.834 ამომრჩევლის ხელმოწერა, რაც საჭიროა, რომ უოლესი ცნონ პრეზიდენტობის პრეტენდენტად დედაქალაქის ოლქში. უოლესმა განაცხადა, თუ პრეზიდენტად ამორჩევენ, „უწინარეს ყოვლისა „ზანგებს ქაუას ვასწავლიო“.

ახალგაზრდობა

საზოგადოებრიობის ზეგავლენით

კარაკასი, 8 აგვისტო. (საკდესი). ვენესუელის პროგრესული საზოგადოებრიობის ზეგავლენით გაათავისუფლეს 67 პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის რამდენიმე კაცი, რომლებიც პატიმრად იყვნენ ტაკარიგუას კუნძულზე და ამხანაგებთან ერთად ამას წინათ შიმშილობა გამოაცხადეს ამ საშინელ საპყრობილეში აუტანელი პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაათავისუფლეს, კერძოდ, ვენესუელის პროფკავშირული ლიდერი პარმელო ლაბორიტი.

მაგრამ საპყრობილეში ჯერ კიდევ იტანჯება უამრავი კომუნისტი და სხვა პატრიოტი, რომლებსაც ბრალად სდებენ ეგრეთწოდებულ „მოქმედებას“, რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფო უშიშროებას“.

მთელ ვენესუელაში სულ უფრო ხმამაღლა მოითხოვენ, რომ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი.

არაგი ხალხები არ დანებდებიან

კაირო, 8 აგვისტო. (საკდესი). „არაბი ხალხები არასოდეს არ დანებდებიან, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლო მოუღონ ისრაელის აგრესიას“, — განაცხადა, როგორც მენის საგენტო გვაცნობებენს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ რიადმა.

ისრაელი ესწრაფვის არაბული ტერიტორიების ანექსიას, აღნიშნა მან, და ამიტომ უარყოფს უშიშროების საბჭოს გასული წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას. ამავე მიზეზით ისრაელი ნებას არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის შესაბამისად გაგზავნოს ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი წარმომადგენელი, რათა გამოარკვიოს, თუ რა პირობებში იმყოფება არაბი მოსახლეობა.

ისრაელის უკანასკნელი აგრესიული მოქმედება იორდანიის წინააღმდეგ, აგრეთვე ისრაელის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შეტყობა მის მიმართ, ხაზგასმით აღნიშნა რიადმა, მხოლოდ აძლიერებენ არაბთა წინააღმდეგობას.



ბულგარეთის დედაქალაქში მიწყდა ფანფარების ხაზეიმო ღელვა. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალი დამთავრდა. ხუთი კონტინენტის 143 ქვეყნის ჭაბუკები და ქალწულები ბულგარეთის სტუმარმოყვარე მიწაზე გაიცნენ, დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეიყვარეს ერთმანეთი. მეგობრულმა საუბრებმა, დისპუტებმა, კონცერტებმა და სპორტულმა პაექრობებმა გამოავლინა მათი ჯანსაღი, ოპტიმისტური განწყობილება, პროგრესული მსოფლმხედველობანი, ტალანტი და სიმკვირცხლე.

ფესტივალის ლეგენდა იყო **სოლიდარობა, მშვიდობა და მეგობრობა,** რომელიც ჩვენი პლანეტის სიკეთეს — ახალგაზრდობამ დროშასავით მაღლა აიტაცა.

მსოფლიოს მეცხრე ფესტივალზე სოფიაში, როგორც „ყოველთვის, მაკერადაც თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა.

ფესტივალზე ჩვენი მხატვრული დელეგაცია წარმოდგენილი იყო ახალგაზრდულ ანსამბლ „გორდელათი“ და რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სალხინოთი“. ფესტივალ ზე მონაწილეობდნენ აგრეთვე მომღერლები ზურაბ სოტკილავა, მედეა ძიძიგური და სხვ.

სასიხარულოა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა თვიანთი ხელოვნებით აღტაცებაში მოიყვანეს ფესტივალის სტუმრები და მასპინძლები, ხოლო მკაცრმა ჟიურიმ, რომელიც მეტად წარმომადგენლობითი იყო, მაღალი შეფასება მისცა მათს შემოქმედებას.

ახლა, როცა ფესტივალი უკვე დამთავრდა და სხვადასხვა კონკურსის შედეგები შეჯამდა, შეგვეძლია დავასახელოთ გამარჯვებული კოლექტივები და ცალკეული შესრულებლები.

კლასიკურ სიმღერაში მთავარი პრემია „ორფეოსი“ და ოქროს მედალი მიეკუთვნა ჩვენს თანამემამულეს ზურაბ სოტკილავას. ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლის დიდი წარმატებაა.

ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისის კონსერვატორიის აღზრდილმა, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტმა მაყვალა ჯასრაშვილმა.

ანსამბლმა „გორდელამ“ უკვე დიდებულია მოიპოვა აღიარება, როგორც შინ, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამჯერად ჩვენმა სახელოვანმა ანსამბლმა ერთხელ კიდევ დამტკიცა თავისი მაღალი პროფესიული ოსტატობა და ფართო აუდიტორიას გააცნო ქართული ხალხური მუსიკის პოლიფონიური სიმდიდრე.

„გორდელა“ ფესტივალ ზე ოქროს მედლით დაჯილდოდა. ასევე რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბუხუტი დარჩეულიძის ხელმძღვანელობით ფესტივალის ლაურეატი გახდა.

მალე ჩვენი ახალგაზრდები ოქროს მედლებით მკერდამშვენებულნი დაბრუნდებიან შინ. ამრავლოს მათმა წარმატებებმა!



ფესტივალის ლაურეატები

მათ ასახელეს საქართველო

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-9 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები.

სურათებზე: ზემოთ — ვოკალური ანსამბლი „გორდელა“; ქვემოთ — ახალგაზრდა ქართველი მომღერლები ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ჯასრაშვილი.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის სამხრეთ რაიონებში გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი, ამ ბოლო დღეებში ისინი დაიწყო ფუძიანის პროვინციაში და მათ შედეგად სერიოზულად დაირღვა რკინიგზის მიმოსვლა. ფუძიანში გავრცელებულ დაძაბაოებში ნათქვამია, რომ „ახალი ხელისუფლების“ მოწინააღმდეგენი შეიპარნენ „ჯარხნებსა და გლეხობის რიგებში“. ადგილობრივი გარნიზონის სარდლობამ მოითხოვა „ამ მტრების მოსპობა“.

ცნობილი გახდა იმ ამბების ზოგიერთი დეტალი, რომლებიც ივლისს დამლეგს მოხდა ზღვისპირა ქალაქ შანტუაში. არმიის ქვედანაყოფები ეხმარებოდნენ „დუნფეის“ დაჯგუფების ხუნვეიბინების გასწორებოდნენ „ხუნვეის“ მეტოქე დაჯგუფებას, არსებული ცნობებით, ამ ამბებს მოჰყვა მსხვერპლი.

3 აგვისტოს ქალაქ ჯუიანში (ჯეიჯიანის პროვინცია) გაიმართა „დამნაშავეთა სასჯარო გასამართლება“. როგორც ჯუჯუს რადიომ გადმოსცა, მათ ბრალად დასდეს „ცილისმწამებელური გამოხდომები“ მაო ძე-დუნის, მისი ცოლის ძიან ცინისა და თავდაცვის მინისტრის ლინ ბიაოს წინააღმდეგ. 8 კაცს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადის პატიმრობა და „ვადაგადადებული სიკვდილით დასჯა“. ეს სასჯელი ნიშნავს, რომ მსჯავრდებული შეიძლება ნებისმიერ დროს დასჯილ.

ამას წინათ პეკინში დიდის ამბით აღნიშნეს იმ დაძაბაოს გამოქვეყნების მეორე წლისთავი, რომელიც თვით მაო ძე-დუნმა დაწერა სათაურით „ცეცხლი შტაბის წინააღმდეგ“. ამ თუბილესადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში „ენმინ ენიბაო“ 5 აგვისტოს წერდა „ბრწყინვალე დაძაბოს ეპოქალურ მნიშვნელობაზე“, რომელმაც „კულტურული რევოლუციის ქვემეთა ზალაპად დაიქუხ.“. დირექტივიერ, რომელსაც ეს ფურცელი შეიცავს, მაომ გაშალა კამპანია ჩინეთის კომუნისტური პარტიის გასანადგურებლად. არმიის, ხუნვეიბინთა და ძაოფანთა რაზმების დახმარებთან გარეკილი ან ბარალიზებული იყო თითქმის ყველა პარტიული ორგანიზაცია — პროვინციული, საქალაქო და სამაზრო პარტიული კომიტეტები, სამინისტროთა და უწყებათა პარტიული კომიტეტები, ძირეული პარტიული ორგანიზაციები. თვისი მითითება „ცეცხლი დაეშინეთ შტაბებისათვის“ მაომ მომართა აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ.

თუმცა ჩინეთში ცდილობენ „კულტურული რევოლუცია“ წარმოადგინონ როგორც „კლასობრივი ბრძოლა“, რომელიც თითქოს მიმართულია ომად წინააღმდეგ, „ვინც მიდის კაპიტალისტური გზით“, ბურჟუაზიულ ელემენტებს. ჩინეთში დღემდე შენარჩუნებული აქვთ პრივილეგიები და კაპიტალის პროცენტებსაც კი უხდიან. „კულტურული რევოლუციის ქვემეთა ზალაპები“ განკუთვნილი იყო შიგ პარტიაში არსებული ოპოზიციური განწყობილების ჩასახშობად, მაო ძე-დუნის ჯუფის აბსოლუტური დიქტატურის დასამკვიდრებლად. მაგრამ, როგორც ამას „ენმინ ენიბაოს“ საუბილეო სტატია მოწმობს, მთლიანად ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. გაზეთი თავს ესხმის იმათ, ვინც „შორდება თავმჯდომარე მაოს დიად სტრატეგიულ მითითებებს, და „უმაღლეს მითითებებსაც კი ამახინჯებს“. „ვინც „ადგება მაოს შტაბისაგან მოწყვეტის გზას“, „მის წინააღმდეგ ბრძოლის გზას“. „ენმინ ენიბაო“ მოითხოვს, რომ „შესრულდეს თავმჯდომარე მაოს არა მარტო ის მითითებანი, რომლებიც კარგად აქვთ შეთვისებული, არამედ ისინი, რომლებიც ჯერჯერობით არ შეუთვისებიათ“. ასეთსავე აზრებს გამოთქვამს იუბილესთან დაკავშირებით შანხაის გაზეთი „ვენხუიბაო“. გაზეთი ხაზს უსვამს, „რადაც უნდა დაგვიჯდეს, საპასუხო დარტყმით უნდა ვუპასუხოთ“ ომათ, ვინც ილაშქრებს მაოს ჯუფის წინააღმდეგ.

„კულტურული რევოლუციის“ უამრავ მსხვერპლს შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე ჩინეთის სპორტული ორგანიზაციები. მესამე წელია ჩინეთში არ გამართულა სპორტული შეჯიბრება, დაიხურა სტადიონები, შეწყდა სპორტული გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა. ამას წინათ პეკინში გამოსცეს ბრძანება, რომლითაც „გაფორმეს“ ყველა სპორტული ორგანიზაციის დაშლა, ხოლო მათი ფუნქციები გადასცეს ჩინეთის არმიას.

პეკინის ფიზკულტურის ინსტიტუტის „რევოლუციური კომიტეტის“ ორგანო ხუნვეიბინთა გაზეთი „ტიუჯანსიანი“ იმით ხსნის სპორტული მოძრაობის განადგურებას, რომ მისი ხელმძღვანელები „ნერგავდნენ“ საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას. გაზეთი ბრალად დებს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეს, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ხე ლუნს, რომ „შავ ნიმოთებებს აძლევდა ჩინელ სტუდენტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში სწავლობდნენ“, უარჩევდა შეესწავლათ სსრ კავშირში მასობრივი სპორტული მოძრაობის გამოცდილება. შიგ ჩინეთში, წერს შემდეგ გაზეთი, ხე ლუნი „ავრცელებდა შეჯიბრებათა მოწყობის, სპორტსმენთა, აგრეთვე სპორტულ საზოგადოებათა შექმნის, მსაჯთა, მწვრთნელთა მომზადების საბჭოთა რევიზიონისტულ სისტემას“. იგივე გაზეთი აცხადებს, რომ ხე ლუნი „გაეფიცებოდა ილაშქრებდა თავმჯდომარე მაოს წინააღმდეგ“.

(საკდესი, 7 აგვისტო).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№3-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1968 .

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲯᲐᲕᲐᲜᲐ**, 8 აგვისტო. (საკდესი). ბოლოვიის ქალაქ კოჩაბამბაში მოხდა დემონსტრანტ მუშებისა და სტუდენტების და მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარის ქვეგანაყოფების შეტაკება. მუშები და სტუდენტები პროტესტს აცხადებენ პრეზიდენტ ბარიენტოსის ანტისახალხო პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორც პრესა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი ლაპასიდან იტყობინება, დემონსტრანტთა შორის არიან დაჭრილები, მაგრამ დაშავებულთა ზუსტი რიცხვი ჯერ ცნობილი არ არის.

● **ᲮᲜᲝᲛᲘᲐᲜᲘ**, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც ხუმერ პრესის საგენტო იუწყება, 1 აგვისტოს თხმარ პუოის ოლქში (ბატამბანგის პროვინცია) შეიარაღებული რაზმი, რომელშიც ასამდე კაცი შედიოდა, ტაილანდიდან კამბოჯის ტერიტორიაზე შემოიჭრა.

სროლის დროს მოკლეს ერთი კამბოჯელი ჯარისკაცი. კამბოჯელებმა ტაილანდელებს მოუკლეს ერთი და დაჭრეს რამდენიმე კაცი.

● **ᲐᲓᲔᲜᲘ**, 7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛ ᲒᲐᲓᲛᲪᲪᲐ, ᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲯᲣᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲚᲯᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲚᲤᲝᲜᲡ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

● **ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ**, 7 აგვისტო. (საკდესი). რადიოსადგურმა „კონგოს რევოლუციის ხმამ“ გადმოსცა „კონგოს ეროვნული სახალხო არმიისა და სამოქალაქო თავდაცვის კორპუსის გაერთიანებული კომიტეტის“ კომუნიკე რევოლუციის ეროვნული საბჭოს შემადგენლობის შესახებ. საბჭოს წევრებს შორის არის კონგოს პრეზიდენტი ა. მასამბა-დება.

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს პარიზში ჟაიმარია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა მორიგი მე-16 ოფიციალური საუბარი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ხა ვან ლაუმ კვლავ ამხილა ამერიკის პროვოკაციები ვიეტნამის, თითქოს „ამერიკის შეერთებული შტატები კეთილ ნებას იჩენდეს და ზღუდავდეს თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე“.

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

სამი ათასი კუნძული ბედი

ᲐᲮᲚᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲛ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲘᲤᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲐᲠᲐ ᲬᲧᲜᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲛᲨᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ

„ კომუნისტის“ ინტერვიუ

ხულ მალე ახმეტაში დამთავრდება რაიონული საავადმყოფოს ახალი მთლიანი კომპლექსის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. გოზალიშვილი ესაუბრა ახმეტის რაიონის მთავარ ექიმს ო. მათიკაშვილს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობაზე, პერსპექტივებზე. აი, რა თქვა მან:

□ □

ვლანმრთელობის ახალი კერა

დიდ ქალაქსაც დაამშვენებს!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ახმეტის რაიონის სოფლებში მშრომელთა ჯანდაცვის საქმე ექიმბაშების, ბებიებ ქალებისა და მკითხავების ანაბრად იყო მიტოვებული. ერთი ექიმი და ერთი ფერშალი აბა როგორ გასწვდებოდა მთიანი რაიონის მოსახლეობას. მთათუშეთში ხომ ექიმისა და წამლის არსებობაზეც კი არაფერი იცოდნენ.

კოლექტივიზაციის წლებში ახმეტაში აოსაწოლიანი საავადმყოფო გაიხსნა. შემდეგ ეს საავადმყოფო გაფართოვდა და მასში 25 საწოლი იყო. აქედან რაიონული საავადმყოფო 35-საწოლიანია. გარდა ამისა, მუშაობს 35 საწოლიანი სამშობიარო სახლი. ამას გარდა ქვემო ალვანში კარგახანია მუშაობს 50 საწოლიანი სარაიონო ტუბსაავადმყოფო; ხუთსაწოლიანი საავადმყოფოა მაღალმთიან სოფელ ომალოში, სადაც საავადმყოფოს გახსნამდე ავადმყოფები გადმოგვყავდა ხან ახმეტაში, ხან თელავსა და თბილისში. რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო დღესაც დიდ დახმარებას უწევს მთათუშეთის მოსახლეობას. ახლა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ომალოს ამბულატორია-საავადმყოფოში მეორე წელია მუშაობს ახალგაზრდა ექიმი თეიმურაზ კვინსტაძე. მოკლე დროში ახალგაზრდა ექიმი მთათუშეთისა და დაღესტნის ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობამ გულით შეიყვარა და მას დამსახურებულად სცემენ პატივს.

სასოფლო საავადმყოფოები არის აგრეთვე ზემო ხოდაშენში, მატანში, ამბულატორიები გახსნილია ხუთ სოფელში, ხოლო თოთხმეტ სოფელში — საფერშლო-საბებიო პუნქტები. კარგად მუშაობენ ოქროს, ქისტაურის, დუისის, ზემო ალვანის, მაღრაანის ამბულატორიები. სულ რაიონში 54 ექიმი და ათეულობით მედდა უწევს მშრომელებს სამედიცინო მომსახურებას.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ურიგო როდია, მაგრამ საბჭოთა მთავრობისა და მშობლიური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით მომავალში უფრო გაუმჯობესდება მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმე.

უკვე აშენდა რაიონული საავადმყოფოს ახალი კორპუსები. საავადმყოფოს მთელი კომპლექსის, რომელიც „საქქალაქმშენის“ პროექტით აშენდა, ავტორები არიან ჯიბეელი, კედია და ბესაი. მშენებლობას აწარმოებდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტი (მმართველი ვ. ჭურაძე). დანადგარებს ამონტაჟებენ საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს „საქმედტექნიკის“ სამმართველოს სამონტაჟო ჯგუფი ო. კონაშვილისა და ვ. ალავერდიანის ხელმძღვანელობით. მშენებლებისა და მემონტაჟეების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. მათ კარგად იშრომეს და საავადმყოფოს ამ ლამაზ შენობათა კომპლექსი, რომელიც დიდ ქალაქსაც კი დაამშვენებს, მალე მწყობრში ჩადგება.

ახალი საავადმყოფოს მთავარ კორპუსში მოთავსდება ქირურგიული, თერაპიული, სამეანო-გინეკოლოგიური, ბავშვთა, მიმღები, კვების ბლოკი და ადმინისტრაციული განყოფილებები. მთავარი კორპუსის გვერდით ერთსართულიანი კომფორტული შენობა დაეთმობა კლინიკურ-დიაგნოსტიკურ განყოფილებას. მას მოსდევს ორსართულიანი კორპუსი, რომელშიც პოლიკლინიკური განყოფილება მოეწყობა.

მთავარი კორპუსის ალმოსავლეთის პატარა შენობაში ინფექციური განყოფილება მოთავსდება. მის ახლოს იენება ორი პატარა შენობა. ერთი დაეთმობა სამეურნეო საქმიანობას, მეორე — პათანატომურ განყოფილებას.

საავადმყოფოს უკანაა სამი ჰექტარი ტერიტორია, რომლის გამწვანება გაზაფხულზე დაიწყო და შემოდგომაზე დამთავრდება.

რაიონული საავადმყოფოს, რომელშიც 175 საწოლი იენება, გახსნის შემდეგ ერთიორად გაუმჯობესდება ახმეტის რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმე. საავადმყოფოში ამუშავებს 45 ექიმი და სამედიცინო სამედიცინო პერსონალის 131 მუშაკი. სულ საავადმყოფოში იმუშავებს 320 კაცი.

ამასთან ერთად მოხარული ვარ მკითხველს ვაუწყო, რომ ახალ საავადმყოფოში მონტაჟდება სამმეულო წარმოების შესანიშნავი დანადგარები. ინვენტარის ნაწილი სამამეულო წარმოებისა იენება, ნაწილი — ეცხოური. საავადმყოფო უზრუნველყოფილი იენება ცივი და ცხელი წყლით.

დასასრულ მინდა კიდევ ერთხელ მადლობით მოვიხსენიო მშენებლები და მემონტაჟეები, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობითა და გულისყურით მოეკიდნენ ამ სამეცნიერო საქმეს და, ვფიქრობთ, შედეგიც საუცხოოა. ჩვენს წინ არის ლამაზი, კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერა. მე მინდა მადლობა გადავუხადო სამუშაოთა მწარმოებელს დ. ქორაშვილს, ბრიგადირს ე. მარხვაძეს, ტექნიკოს ვ. გერგაშვილს, მებეტონეებს — გ. გარაშვილს, ა. ზუბაშვილს, შ. კახრამველს, კალატოზებს — ტ. სიმონიშვილს, ს. ტუგუშვილს, მ. ცისკარიშვილს, მლესავებს — ბ. მამედოვს, მ. მაჭირიშვილს, ბ. მაჭირიშვილს, დურგლებს — შ. მაისურაძეს, თ. დურგლიშვილს, ს. ნათელაურს, შემდუღებლებს — ი. ბიღაშვილს, შ. ქოზაშვილს, მემონტაჟეებს — ვ. გაბუტაშვილს, კ. ხუგაშვილს, ტ. კოტორაშვილს.

ახმეტის რაიონის მშრომელთა სახელით ჩემი გულისთქმა და მადლიერების გრძნობაც მინდა შევუერთო იმ დიდი მზრუნველობისათვის, რომელსაც პარტია, მთავრობა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენენ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

* * *

სურათზე: ახმეტის რაიონაავადმყოფოს მთავარი კორპუსი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



„ცისკარი“ № 8

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ ახალი ნომერი. პოეზიის განყოფილება წარმოდგენილია **ნ. ჩაჩავას, ე. კვიტაიშვილის, ე. ქიმერტელიძის, ჯ. ნიკაბაძის, შ. ჩიტაშვილის** ლექსებით, აგრეთვე ცნობილი იტალიელი პოეტის **სალვატორე კვაზიმოდოს** ორი ლექსით „ჩემი ქვეყანა, იტალია“ და „ვინმე დამსმენს“, რომლის თარგმანი ჯ. ჩარკვიანს ეკუთვნის.

აქვე შეგვიძლია გაეცნოთ **ო. სულეიმენოვის** პოემის ნაწყვეტს (თარგმანი გ. ძნელაძისა). პროზის კუთხე, ამჟამად დაეთმო **თ. გოგოლაძის, გ. ხარაიძის** და **ქ. ხარიაშვილის** ნაწარმოებებს. ფცხოური ნოველა, წარმოგვიწინია ცნობილი იაპონელი მწერლის **აკუტაგავას** პოპულარული ნაწარმოებით „უსიერ ტყეში“ (თარგმანი ლ. ავალიანისა). მკითხველი ინტერესით წაიკითხავს შესანიშნავი რუსი პოეტის **მარინა ცვეტაევას** მოგონებებს „სულნ პყრობილი“ (თარგმანი რ. ქებულაძისა).

ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება გ. ასათიანის წერილი „მერანი“ და მისი ავტორი“. ჟურნალის ფურცლებზე სპეციალურ ადგილი აქვს დათმობილი ახალგაზრდა მეცნიერებს **რ. ავერინჩელაძეს, რ. კიკნაძეს, ზ. რატიანს.**

სადისკუსიო ტრიბუნა **ა. თაყაიშვილის** კრიტიკული მასალით „ძველ მყოვარ-ყამ დაეინებით“ არის წარმოდგენილი. ჟურნალი „ცისკარი“ ფართოდ ეხმაურება ახლად გამოსულ სხვადასხვა ავორის ნაწარმოებებს. რუბრიკა წრაგნების სამყაროში გვაცნობს **ი. მეგრელიძის, შ. ნიკლაურის, გ. დოლიძის, გ. ბათიაშვილის, კ. მეზვრიშვილის, რ. მიშველაძის, შ. ვაშაკმაძის** კრიტიკული ხასიათის წერილებს.

„ჩვენი კალენდარი“ საქართველოში მაქსიმ გორკის დღეების გრაფიკ ინფორმაციას გვაწვდის.

ჟურნალ „ცისკრის“ ბოლო ფურცელი, როგორც ყოველთვის, უცხოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების საინტერესო ამბებს ეხება.

15 აგვისტოს გაიმართება მოგებათა ტირაჟი

15 აგვისტოს ვილნიუსში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი ხესხის მოგებათა მორიგი, მეჩვიდმეტე ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალარობისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საკადესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ტირაჟში ხესხის ყოველ თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება, მათ შორის 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთიანი მოგებანი.

სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი ხესხის შემდეგი ტირაჟი გაიმართება 30 სექტემბერს კიევში. 1968 წლის დამლევამდე ამ ხესხის ტირაჟები მოეწყობა აგრეთვე 15 ნოემბერს და 30 დეკემბერს.

(საკადესის კორ.).

წინამძღვრიანთქარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — **მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა** (სწავლის ხანგრძლივობა — 3 წელი და 6 თვე); **მეფუტკრეობა** (სწავლის ხანგრძლივობა — 2 წელი და 10 თვე).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — **მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა** (სწავლის ხანგრძლივობა — 2 წელი და 6 თვე); **საბუხალტრო აღრიცხვა** (სწავლის ხანგრძლივობა — 1 წელი და 10 თვე).

ტექნიკუმი ამზადებს: აგრონომებს, მეფუტკრეებს, ბუხალტრებს.

ტექნიკუმის გამოშვების ხუთ პროცენტში მოხვედრილი ხუთოსნები მიიღებენ ტექნიკუმის **დამთავრებულ** იქნებიან **უმაღლეს სასწავლებელში** სპეციალობის მიხედვით.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მუშაობას დაიწყებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, იმავე სპეციალობის უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე (გამოცდებზე ადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში).

მიღების წესები — ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლა და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს; **ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს:** განცხადება დირექტორის სახელზე (პირადად ან ფოსტით), სადაც ნაჩვენები იქნება, თუ რომელ სპეციალობაზე სურს სწავლა; განთლების მოწმობა (დედანი); საშუალო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასებში გადასვლის მოწმობა; ავტობიოგრაფია; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3 ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ.); დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (სამხედროვალდებულთათვის) — წარმოადგენს პირადად.

არასრული საშუალო ხკოლის კურსდამთავრებულები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა); მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება); მათემატიკაში (ზეპირი).

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის სპეციალობაზე ნაცვლად მათემატიკისა **გამოცდა ბარდება ქიმიაში** (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე.

მისაღები ბამოცდები იწარმოებს 15-დან 20 აგვისტომდე.

ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

შენიშვნა: 1. **დამატებით წარმოებს** საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მიღება მეფუტკრეობის სპეციალობის **მეორე კურსზე** (სწავლების ვადა — 1 წელი და 10 თვე); 2. ის პირები, რომლებსაც წარჩინებით აქვთ დამთავრებული ათასრული საშუალო სკოლა და დაჯილდოდნენ ქების სიგელით და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები **ჩაირიცხებიან უგამოცდოდ;** 3. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი და ის პირები, რომლებიც ტექნიკუმში წარგზავნილი არიან კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ, **ჩაირიცხებიან უკონკურსოდ; ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით.**

მისამართი: მცხეთა, **გალავნის** სახოულო **საბჭო, სოფელი წინამძღვრიანთკარი.**

ტრანსპორტი: ქ. **თბილისის** და ქ. **მცხეთის** ავტოსადგურიდან ავტობუსები: **თბილისი-გალავანი, თბილისი-ახატანი, მცხეთა-ბიწმენდი.**

ნაირ-ნაირი

თოჯინები მოგზაურობენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. შენგელია) ამ ზაფხულს მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს ეწვია და ნორჩ მაყურებელს თავისი საუკეთესო დადგმები უჩვენა. თეატრის კოლექტივის ერთმა ჯგუფმა გასტროლები გამართა ყურორტ ჭობულეთში პიონერთა ბანაკებისა და იქ დასასვენებლად ჩასული სამკურნალო ბალეების ალსაზრდელებისათვის.

ქიმიურის თეატრი ზესტაფონში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). უ. ჩხეიძის სახელობის სამაღლო თეატრის სცენაზე ზესტაფონელ მაყურებელს ა. ფირმოლის „სასელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ს